



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის თავისუფალი
აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების
შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ცოტნიაშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი:

ლევან ცაგარელი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[Click here to enter text.](#)

¹ შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

თბილისი

2023

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	204876991
ძირითადი მისამართი (ქუჩა, №, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ჯურბა ნადირაძის ქუჩა, № 46, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	https://freeacademy.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	21/11/2018, გადაწყვეტილება №89
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	21/11/2024

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები²

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	3
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	6
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ³	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	171	131	1474
ბაკალავრიატი	-	-	126

² იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

³ იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

მაგისტრატურა	-	-	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	50	4	51
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	10	0	0
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	119
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	64
- პროფესორი	19
- ასოცირებული პროფესორი	22
- ასისტენტ პროფესორი	14
- ასისტენტი	9
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	17
- აფილირებული პროფესორი	6
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	4
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	5
- აფილირებული ასისტენტი	2
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	28
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	27

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1436.4
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1128.4
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	308

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<p>აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:</p> <p>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძანების №MES 3 23 0001318127 თანახმად, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ცენტრში 2023 წლის 07 ივლისის წერილით ნომერი #02/48 (ცენტრში რეგისტრაციის №849477, 10/07/2023) წარმოდგენილი დოკუმენტაციის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №45637 სხდომის ოქმში და №47821 გადაწყვეტილებაში (ცვლილება №662810, 08/06/2023) ასახულ გარემოებებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შემოწმების მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი.</p> <p>შეფასების პროცესი განხორციელდა 2023 წლის 17 ოქტომბერს შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში ვიზიტით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შესაბამისობა ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან გაცემულ 28 რეკომენდაციასთან მიმართებით; რეკომენდაციები განისაზღვრა 2022 წლის 17 ოქტომბერს აკადემიაში ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში; ვიზიტის განხორციელებამდე აკადემიის მიერ მოწოდებული იყო თვითშეფასების ანგარიში და მისი თანდართული დოკუმენტაცია; ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.</p>	
<p>მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:</p> <p><input type="checkbox"/> ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____</p> <p><input type="checkbox"/> სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____</p> <p><input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: 2022 წლის 17 ოქტომბერი (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის ბრძანება №1203947)</p>	
<p>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</p>	<p>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</p>

<p>1.2 (1) სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორების შესაბამისად ჩამოყალიბდეს სამიზნე ნიშნულები ისე, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა შეძლოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების დონის შეფასება/გაზომვა.</p>	<p>სრულად შესრულდა: უსდ-მ სამოქმედო გეგმაში თითოეულ ამოცანას გაუსაზღვრა კონკრეტული სამიზნე ნიშნული, რამაც შესაძლებელი გახდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების დონის შეფასება-გაზომვა.</p>
<p>1.2 (2) რეკომენდებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი.</p>	<p>სრულად შესრულდა: შეფასება მოქნილი გახდა ახალი ფორმის მიხედვით. არსებული ვითარება, ინსტიტუციური ფუნქციონირების ხარისხის განვითარება, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების გაზომვა მეტად თვალსაჩინოა.</p>
<p>1.2 (3) რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტრატეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას.</p>	<p>სრულად შესრულდა: უსდ-მ შეისწავლა პოტენციური კონკურენტების პოზიციები, Benchmarking-ით დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა შესაბამისი პროფილის მიხედვით</p>
<p>2.1 (4) დაინერგოს უსდ-ს მიერ შემუშავებული დებულება და თითოეულმა ორგანიზაციულმა ერთეულმა დაიწყოს დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება.</p>	<p>სრულად შესრულდა: დებულების მიხედვით სრულდება რგოლებს შორის კომუნიკაცა ჩატარებულია ანალიზი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, რომელმაც დაადგინა, რომ ერთეულები უფლება-მოვალეობებს პასუხისმგებლობით ეკიდებიან.</p>
<p>2.1 (5) მოხდეს დროის ეფექტურად გადანაწილება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე.</p>	<p>სრულად შესრულდა: უსდ-მ სამუშაო პროცესში ჩართო საერთაშორისო ექსპერტი, მისი მონაწილეობით შეფასდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები. დიდი აქცენტი გაკეთდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე დროის ეფექტურად გადასანაწილებლად.</p>
<p>2.1 (6) რეკომენდებულია დაწესებულების მართვაში სტუდენტების ჩართულობა იყოს ქმედითი. მნიშვნელოვანია სტუდენტების ინფორმირება და დისკუსიებში მათი მონაწილეობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტის ჩართულობა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.</p>	<p>სრულად შესრულდა: უსდ-მ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც დამატებით იქნა განმარტებული დაწესებულების მართვაში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელოვნება. სტუდენტები ჩართულები არიან პროგრამების განვითარებაში.</p>
<p>2.2 (7) რეკომენდირებულია, დაწესებულებამ სიღრმისეულად გააანალიზოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევების შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები და შესაბამისი დასკვნები გამოიყენოს ხარისხის უწყვეტი და მდგრადი განვითარებისთვის.</p>	<p>სრულად შესრულდა: უსდ-მ შეიუმუშავა კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია. მასში ჩამოყალიბდა კმაყოფილების კვლევის ტიპები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის ადმინისტრირების პროცედურები და სხვა. დარედაქტირდა ანკეტა-კითხვარები, რაც მეტი სიღრმისეული კვლევი შესაძლებლობას იძლევა.</p>
<p>2.2 (8) რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები.</p>	<p>სრულად შესრულდა: მოდიფიცირდა დოკუმენტი „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“, ადამიანური</p>

	რესურსების ხელმძღვანელის აქტიურობა გაიზარდა ამ მიმართულებით.
2.2 (9) რეკომენდებულია კვლევების მეთოდოლოგიების დახვეწა და შედეგების კრიტიკული ანალიზი. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ კრიტიკულად გაიაზროს უარყოფითი შედეგები, გამოიტანოს ჩავარდნების თუ საჭიროებების შესახებ დამატებითი დასკვნები.	სრულად შესრულდა: უსდ-მ გაამრავალფეროვნა კვლევის მეთოდები, განახლებული კითხვარები იძლევა კრიტიკული გაანალიზების შესაძლებლობას, კომპლექსური ანალიზის საჭიროებების შეფასებას.
2.2 (10) დაწესებულებამ შეიმუშავოს შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტი და უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობა, რეკომენდირებულია შრომის ბაზრის კვლევის დროს შერჩევის დასაბუთება და გამოკითხვის ინსტრუმენტის ისე შედგენა, რომ მიღებული ინფორმაცია იძლეოდეს ანალიზის საშუალებას.	სრულად შესრულდა: უსდ-მ შეიმუშავა შრომის ბაზრის სტანდარტი, სადაც თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია.
2.2 (11) რეკომენდებულია კვლევის მიგნებების ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების ასახვა შესაბამის წლების სამოქმედო გეგმაში. საჭიროა მოცემული იყოს პირდაპირი კავშირი კვლევებსა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებთან.	სრულად შესრულდა: იდენტიფიცირებული საჭიროებების ასახვა მოხდა უსდ-ს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.
2.3 (12) რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს კეთილსინდისიერების პრინციპების ფართო იმპლემენტაცია და გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები.	სრულად შესრულდა: აკადემიურ ნაშრომის შესრულების წესი აცნობს სტუდენტებს კეთილსინდისიერების პრინციპებს. საგამოცდო ტესტირებისთვის შექმნილია ახალი პროგრამა, რომელშიც კონფიდენციალურად მუშავდება პროფესორის მიერ შედგენილი ტესტები და შერჩევითობის პრინციპით გამოცდაზე მიეწოდებათ სტუდენტებს.
2.3 (13) რეკომენდებულია აკადემიური სტილის შესახებ სტუდენტების ცნობიერების ამაღლება. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის (თბილისის თავისუფალი აკადემიის აკადემიური ნაშრომის შესრულების წესი) პრაქტიკაში დანერგვა უნდა განხორციელდეს აკადემიური პერსონალის ხელშეწყობით.	სრულად შესრულდა: გაფართოვდა სტუდენტებთან მუშაობა, აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით ტარდება საუბრები სტუდენტებთან ადამინსტრაციისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან, სილაბუსებში ჩანს, რომ პლაგიატი დასჯადია.
3.1 (14) რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს პერიოდულობით, წინასწარი განსაზღვრული სიხშირით, რათა პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც შესაძლებელი იყოს მათი მოსაზრებების გათვალისწინება.	სრულად შესრულდა: უსდ-ში რეგულარად ტარდება კურსდამთავრებულთა კვლევა, რათა მათი მოსაზრებები გათვალისწინებული იქნას სასწავლო პროცესში, ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება სასწავლო პროგრამებში.
3.1 (15) რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებების/მოსაზრებების პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც გათვალისწინება.	სრულად შესრულდა: უსდ-ში არის მზაობა, რომ გათვალისწინებული იქნას კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები პროგრამის მიმდინარეობის ეტაპზეც.
3.3 (16) რეკომენდირებულია, ინსტიტუცია დარწმუნდეს რომ გამოცდის პასუხები წინასწარ არ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და არ დაუშვას	სრულად შესრულდა: დოკუმენტაციისა გაცნობისა და საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის,

<p>მსგავსი შემთხვევები, რადგან ეს შეიძლება გახდეს არაგეგმიური მონიტორინგის მიზეზი.</p>	<p>სტუდენტების ინტერვიუს საფუძველზე რჩება შთაბეჭდილება, რომ გამოცდის პასუხები, არსებული მექანიზმის მიხედვით, წინაწარ არ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.</p>
<p>3.3 (17) რეკომენდირებულია, საგამოცდო პროცესის წარმართვისას უსდ-მ გამოიყენოს ისეთი სისტემები, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას და მინიმუმამდე შეამცირებს გადაცდომის რისკებს.</p>	<p>სრულად შესრულდა: უსდ-ში ყველა გამოცდა საგამოცდო ცენტრში ტარდება, ცენტრი პასუხისმგებელია აღნიშნული პროცესის ადმინისტრირებაზე.</p>
<p>3.3 (18) რეკომენდებულია ინსტიტუციამ გაამლიეროს აკადემიური მხარდაჭერის სერვისები სტუდენტებისთვის, რომელიც დაეხმარებათ მათ სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაში.</p>	<p>სრულად შესრულდა: სტუდენტები ადასტურებენ, რომ მათი მხარდაჭერის მიზნით, უსდ ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას, მათი ინტერესებიდან გამომდინარე იწვევენ შესაბამის ტრენერებს.</p>
<p>4.1 (19) პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა იყოს მკაფიო; ამისთვის განხორციელებული მექანიზმები იყოს ქმედითი.</p>	<p>რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული: პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების სტრატეგია არის საკმაოდ ნათელი, მექანიზმები კი - ქმედითი.</p>
<p>4.1 (20) რეკომენდებულია გადაიხედოს თბილისის თავისუფალი აკადემიის პერსონალის მართვის წესი, კონკრეტულად კი მუხლი 23.3 ჩანაწერი და შესაბამისად, დაინერგოს პერსონალის წახალისების განხორციელების მეტად მონაწილეობითი მექანიზმი.</p>	<p>სრულად შესრულდა: პერსონალის მართვის წესში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პერსონალის წახალისების მექანიზმი გახდა მეტად მონაწილეობრივი.</p>
<p>5.1 (21) რეკომენდირებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მკაფიო წესი და ამასთან, უზრუნველყოს რეალისტური შედარება პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით.</p>	<p>სრულად შესრულდა: მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიერ მიღებული კრედიტების აღიარების წესი ქმედითი და შედეგიანი ჩანს.</p>
<p>5.1 (22) რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისთვის კრედიტების აღიარების დასკვნის შედგენისას პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის მართვის სამსახურის ჩართულობა, რათა უზრუნველყოს რეალისტური შედარება პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით.</p>	<p>სრულად შესრულდა: კრედიტების აღიარების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელიც.</p>
<p>5.2 (23) რეკომენდებულია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში სტუდენტთა ჩართულობის გაძლიერება და სტუდენტთა შერჩევის პროცედურის გაწერა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში.</p>	<p>სრულად შესრულდა: გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში სტუდენტები წარმოდგენილი არიან და მათი შერჩევის პროცედურა გაწერილია შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში, თუმცა სტუდენტების ნაწილი არ იცნობს თავიანთ წარმომადგენლობას.</p>
<p>6.1 (24) რეკომენდებული დაწესებულებამ მეტად აქტიურად შეუწყოს ხელი პრაქტიკაში კვლევითი კომპონენტების დანერგვას. საჭიროა დაწესებულებამ აწარმოოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სრულყოფილი აღრიცხვა.</p>	<p>სრულად შესრულდა: დაწესებულება აწარმოებს პროფესორ-მასწავლებელთა კვლევითი საქმიანობის აღრიცხვას, თუმცა კვლევის ხელშეწყობის მექანიზმების სპექტრი საკმაოდ შეზღუდულია.</p>
<p>7.2 (25) რეკომენდებულია სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომის განხორციელება,</p>	<p>სრულად შესრულდა: სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომა უზრუნველყოფილია,</p>

შესაბამისი ტრენინგების მიწოდება სტუდენტებისთვის	თუმცა სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილია ინფორმირებული ბაზების არსებობის შესახებ.
7.2 (26) რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალთან გაძლიერებული თანამშრომლობა, სასწავლო პროცესში სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკის გაზრდის მიზნით.	სრულად შესრულდა: აკადემიური პერსონალის ნაწილი იცნობს და იყენებს სამეცნიერო ბაზებს.
7.3 (27) უზრუნველყავით ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენება თქვენ მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში.	სრულად შესრულდა: კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები შეძენილია.
7.4 (28) რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგებებისა და კვალიფიციური აუდიტის მიერ მომზადებული დასკვნების საჯაროობა.	სრულად შესრულდა: ფინანსური ანგარიშგების საჯაროობა უზრუნველყოფილია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

რჩევები

2.3

სასურველია, აკადემიურ ნაშრომის შესრულების წესი და სხვა იურიდიული თუ ეთიკური დოკუმენტაცია თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი ვებგვერდზე.

5.2

სასურველია, სტუდენტები იცნობდნენ თავიანთ წარმომადგენლებს სტუდენტურ თვითმმართველობაში, სენატსა და სკოლების საბჭოებში, რათა საჭიროების შემთხვევაში მიმართონ მათ თავიანთი ინიციატივებითა და საჭიროებებით.

6.1

სასურველია, უსდ-ში დამკვიდრდეს პროფესორ-მასწავლებელთა მივლინებების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის მექანიზმები.

7.2

სასურველია, სტუდენტების ინფორმირებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ჰქონდეს უფრო თანმიმდევრული ხასიათი (მაგალითად, რომელიმე სასწავლო კურსის ან პირველკურსელთა საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში).

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	უსდ-ის პერსონალი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ზაზა ცოტნიაშვილი (თავმჯდომარე)

2. ლევან ცაგარელი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის

სტანდარტის

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები ⁴ ; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩევა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები:
რეკომენდაცია არ გაცემულა
რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

⁴ ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია: (1) სამოქმედო გეგმაში მითითებული ინდიკატორების შესაბამისად ჩამოყალიბდეს სამიზნე ნიშნულები ისე, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა შეძლოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების დონის შეფასება/გაზომვა.

რეკომენდაციის თანახმად, უსდ-მ სამოქმედო გეგმაში თითოეულ ამოცანას გაუსაზღვრა კონკრეტული სამიზნე ნიშნული, რამაც შესაძლებელი გახადა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების დონის შეფასება-გაზომვა.

გაცემული რეკომენდაცია: (2) რეკომენდირებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი.

უსდ-ში ხორციელდება შესაბამისი მონიტორინგი, რაც სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ახალი ფორმის გამოყენებით ხდება. შეფასება მოქნილი გახდა ფორმის მიხედვით. არსებული ვითარება, ინსტიტუციური ფუნქციონირების ხარისხის განვითარება, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების გაზომვა მეტად თვალსაჩინოა.

გაცემული რეკომენდაცია: (3) რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტრატეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას.

უსდ-მ შეისწავლა პოტენციური კონკურენტების პოზიციები, Benchmarking-ით დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა შესაბამისი პროფილის მიხედვით, რადგან პროგრამები მორგებულია საბაზრო მოთხოვნებზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში აღნიშნული კვლევის შედეგები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. მდგრადობის შესანარჩუნებლად უსდ-ს აქვს კონკრეტული ხედვა, რაც რეალობასთან ახლოსაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თბილისის თავისუფალი აკადემიის 2022-24 წლების სამოქმედო გეგმა
- თბილისის თავისუფალი აკადემიის სამოქმედო გეგმის მიზნების, ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების მონიტორინგის ანგარიში
- ინსტიტუციური Benchmarking-ი
- ინტევიუს შედეგები
- უსდ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას,

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>გაცემული რეკომენდაცია: (4) დაინერგოს უსდ-ს მიერ შემუშავებული დებულება და თითოეულმა ორგანიზაციულმა ერთეულმა დაიწყოს დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება.</p> <p>უსდ-ს დებულება არეგულირებს ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ურთიერთობას, თითოეულ მათგანს ასევე გააჩნია დოკუმენტი საქმიანობის მოსაწესრიგებლად. დებულების მიხედვით სრულდება რგოლებს შორის კომუნიკაცია ჩატარებული ანალიზი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, რომელმაც დაადგინა, რომ ერთეულები უფლება-მოვალეობებს პასუხისმგებლობით ეკიდებიან.</p> <p>გაცემული რეკომენდაცია: (5) მოხდეს დროის ეფექტურად გადანაწილება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე.</p> <p>რეკომენდაციის გათვალისწინებით, უსდ-მ სამუშაო პროცესში ჩართო საერთაშორისო ექსპერტი, მისი მონაწილეობით შეფასდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ამ მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები. დიდი აქცენტი გაკეთდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებზე დროის ეფექტურად გადასანაწილებლად. გაფორმდა საერთაშორისო მემორანდუმები. ახლახანს უსდ-ს სტუმრობდა ლიეტუვის ელჩი, უახლეს მომავალში დაგეგმილია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ქართულ-ინდური ფესტივალის მოწყობა და სხვა.</p> <p>გაცემული რეკომენდაცია: (5) რეკომენდებულია დაწესებულების მართვაში სტუდენტების ჩართულობა იყოს ქმედითი. მნიშვნელოვანია სტუდენტების ინფორმირება და დისკუსიებში მათი მონაწილეობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტის ჩართულობა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.</p> <p>რეკომენდაციიდან გამომდინარე უსდ-მ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან, სადაც დამატებით იქნა განმარტებული დაწესებულების მართვაში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელოვნება. სტუდენტები ჩართულები არიან პროგრამების განვითარებაში. მათი მოთხოვნის საფუძველზე ხდება სტუმრების მოწვევა, კლუბების ორგანიზება ტოპმენეჯმენტის შეხვედრები სტუდენტებთან ინტენსიურ ხასიათს ატარებს. (ვაკულტეტების მართვაში სტუდენტების ჩართულობა დასტურდება, ისინი წარმოდგენილები არიან სკოლების საბჭოებში, მათ ინიციატივებს აზრს ითვალისწინებენ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • თბილისის თავისუფალი აკადემიის დებულება • მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა • მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების შეფასების ანალიზი • საერთაშორისო ექსპერტთან გაფორმებული ხელშეკრულება • თბილისის თავისუფალი აკადემიის 2022-24 წლების სამოქმედო გეგმა • ბრძანება ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის შექმნის შესახებ • სენატის სხდომის ოქმები • ინტევიუს შედეგები • უსდ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია: (7) დაწესებულებამ სიღრმისეულად გააანალიზოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევების შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები და შესაბამისი დასკვნები გამოიყენოს ხარისხის უწყვეტი და მდგრადი განვითარებისთვის.

რეკომენდაციის შესაბამისად უსდ-მ შეიუმუშავა კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია. მასში ჩამოყალიბდა კმაყოფილების კვლევის ტიპები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის ადმინისტრირების პროცედურები და სხვა. დარედაქტირდა ანკეტა-კითხვარები, რაც მეტი სიღრმისეული კვლევი შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტები ასეთი კვლევი შედეგად, სტუდენტური სივრცეების შექმნას და საბიბლიოთეკო დარბაზის გაფართოებას მიესალმებიან. ტარდება ყველა ტიპის გამოკითხვა და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების პერმანენტული გათვალისწინება.

გაცემული რეკომენდაცია: (8) რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს და განახლოს მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები.

მოდისციპლინა დოკუმენტი „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“, ადამიანური რესურსების ხელმძღვანელის აქტიურობა გაიზარდა ამ მიმართულებით. მუდმივად ხდება შეფასება და შესაბამისად თანამშრომელთა წახალისება, რაც პროფესორების მხრიდანაცა აღინიშნა.

გაცემული რეკომენდაცია: (9) რეკომენდებულია კვლევების მეთოდოლოგიების დახვეწა და შედეგების კრიტიკული ანალიზი. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ კრიტიკულად გაიაზროს უარყოფითი შედეგები, გამოიტანოს ჩავარდნების თუ საჭიროებების შესახებ დამატებითი დასკვნები.

რეკომენდაციის თანახმად, უსდ-მ გაამრავალფეროვნა კვლევის მეთოდები, განახლებული კითხვარები იძლევა კრიტიკული გაანალიზების შესაძლებლობას, კომპლექსური ანალიზის საჭიროებების შეფასებას. გამოყენებულია

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. პრაქტიკულად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა და ბაზარზე საჭიროებების დადგენა.

გაცემული რეკომენდაცია: (10) დაწესებულებამ შეიმუშავოს შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტი და უზრუნველყოს კვლევის მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობა, რეკომენდირებულია შრომის ბაზრის კვლევის დროს შერჩევის დასაბუთება და გამოკითხვის ინსტრუმენტის ისე შედგენა, რომ მიღებული ინფორმაცია იძლეოდეს ანალიზის საშუალებას.

რეკომენდაციის მიხედვით, უსდ-მ შეიმუშავა შრომის ბაზრის სტანდარტი, სადაც თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია. მასში გამოკვეთილია შერჩევის დასაბუთება, გამოკითხვის ინსტრუმენტები, მიღებული ინფორმაციის შედეგად ხდება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. მემორანდუმების საფუძველზე აღნიშნული აქტივობა მეტად ეფექტურია.

გაცემული რეკომენდაცია: (11) რეკომენდებულია კვლევის მიგნებების ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების ასახვა შესაბამის წლების სამოქმედო გეგმაში. საჭიროა მოცემული იყოს პირდაპირი კავშირი კვლევებსა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტებთან.

იდენტიფიცირებული საჭიროებების ასახვა მოხდა უსდ-ს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. მაგ.: სამართლის საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და წარმატებული აკრედიტაცია, პლაგიატის წინააღმდეგ აქტიური მექანიზმების შექმნა, სტუდენტების მხარდამჭერი აქტივობების განვითარება და სხვა. კვლევები ტარდება მიზნობრივად, რომ აისახოს სამოქმედო გეგმაში, პირდაპირი კავშირი კვლევებსა და უსდ-ს სტრატეგიულ დოკუმენტს შორის ჩანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების შეფასების ანალიზი
- შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტი
- კვლევის მიგნებების ანალიზი
- თბილისის თავისუფალი აკადემიის 2018-24 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- თბილისის თავისუფალი აკადემიის 2022-24 წლების სამოქმედო გეგმა
- ინტევიუს შედეგები
- უსდ-ს ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაცია: (12) დაწესებულებამ უზრუნველყოს კეთილსინდისიერების პრინციპების ფართო იმპლემენტაცია და გამორიცხოს საგამოცდო თუ სხვა სახის აკადემიური თაღლითობები.

აკადემიურ ნაშრომის შესრულების წესი აცნობს სტუდენტებს კეთილსინდისიერების პრინციპებს. საგამოცდო ტესტირებისთვის შეძენილია ახალი პროგრამი, რომელშიც კონფიდენციალურად მუშავდება პროფესორის მიერ შედგენილი ტესტები და შერჩევითობის პრინციპით გამოცდაზე მიეწოდებათ სტუდენტებს. გამოცდაზე შესვლამდე სტუდენტები აბარებენ მობილურ ტელეფონებს, პროცესი კონტროლდება კამერებით, ესწრება დამკვირვებელი.

